ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი შეტევა კოსმოსში

## საკდესის ცნობა

## მიფრინავს კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-15"

1974 წლის 26 აგვისტოს 22 საათსა და 58 წუთზე მოსკოვის დროით საბჭოთა კავშირში გაუშვეს კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-15", რომელსაც პილოტობს ეკიპაჟი ხომალდის მეთაურის პოდპოლკოვნიკ გენადი ვასილის ძე სარაფანოვისა და ბორტინჟინერ პოლკოვნიკ-ინჟინერ ლევ სტეფანეს ძე დიომინის შემადგენლობით.

„სოიუზ-15" ხომალდის გაშვების მიზანი ის არის, რომ განაგრძოს ამა წლის 8 ივლისს „სოიუზ-14" სატრანსპორტო ხომალდისა და „სალიუტ-3" სადგურის ფრენის დროს დაწყებული მეცნიერული კვლევა და ექსპერიმენტები კოსმოსურ სივრცეში.

ეკიპაჟთან არის მყარი რადიო და სატელევიზიო კავშირი. ეკიპაჟის მოხსენებათა მიხედვით, კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ; მიკროკლიმატის პარამეტრები ხომალდის ნაკვეთურებში გათვალისწინებულ ფარგლებშია.

„სოიუზ-15" სატრანსპორტო ხომალდის დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტაზე გაყვანის შემდეგ ამხანაგებმა სარაფანოვმა და დიომინმა დაიწყეს ფრენის პროგრამის შესრულება.



გენადი ვასილის ძე სარაფანოვი



ლევ სტეფანეს ძე დიომინი


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 170 (5200)

1974 წ. 28 აგვისტო, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


ცნობები სოციალისტური ქვეყნებიდან

## ყველაზე პატარა, ყველაზე სპორტული

ნახევარ მილიონზე მეტ მცხოვრებს ითვლის გდრ-ის ყველაზე პატარა, სამხრეთის ოლქი ზული. მაგრამ იგი სამართლიანად ითვლება რესპუბლიკაში ერთ-ერთ ყველაზე სპორტულ ოლქად. 1956 წელს, როცა გდრ პირველად გავიდა ოლიმპიურ სარბიელზე, გერმანიის სოციალისტური სახელმწიფოს სპორტულ ღირსებას იცავდა ზულის 38 მკვიდრი და მისი სპორტკლუბების აღზრდილი სპორტსმენი. მათ 4 ოქროს და 3 ვერცხლის ოლიმპიური მედალი მოიპოვეს, ხოლო 13 სპორტსმენი საუკეთესოთა ექვსეულებში მოხვდა.

მარტო ბოლო ორი წლის მანძილზე ოლქის წარმომადგენლებმა გდრ-ის ნაკრები გუნდების შემადგენლობაში ცხრაჯერ მოიპოვეს ჩემპიონობა სათხილამურო სპორტისა და ციგაობის ოსტატთა მსოფლიო პირველობებში. ოლქის ქვეყანაში კვლავ დიდი პოპულარობით სარგებლობს 1960 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში ჰელმუტ რეკნაგელი, თუმცა მან დიდი ხანია სპორტს თავი დაანება და ახლა ვეტერინარად მუშაობს. საკმარისია ითქვას, რომ გაზეთ „ფრაიეს ვორტის" მკითხველთა უმრავლესობამ განვლილი 25 წლის მანძილზე გდრ-ის ყველაზე პოპულარულ სპორტსმენად სწორედ რეკნაგელი დაასახელა.

რეკნაგელისგან ესტაფეტა მიიღეს სპორტის ზამთრის სახეობათა ცნობილმა ოსტატებმა გ. გრიმერმა და ჰ.-გ. აშენბახმა, აგრეთვე, სახელგანთქმულმა მთკირაგველებმა. სპორტულ კლუბებში ახალგაზრდობას თავიანთს გამოცდილებას გადასცემენ სულ ახლო წარსულში საქვეყნოდ ცნობილი მოთხილამურეები ჰ. ვერნერი, ჰ. კვაკი, ვ. ლესერი, დ. ნოიენდორფი და სხვები.

მაგრამ ზული მარტო დიდი სპორტით როდია განთქმული. მისი ბრწყინვალე ბაზები — ხელოვნურსაფარიანი სათხილამურო ტრამპლინები, საციგაოები, სასროლეთები, მრავალრიცხოვანი მოედნები მშრომელთა განკარგულებაშია. გერმანიის სპორტულ-ტანვარჯიშული კავშირის საოლქო ორგანიზაციის წევრთა რიცხვი 67 ათასს უახლოვდება. აქ მუშაობს თითქმის 1300 სპორტული სექცია, რომლებშიც მეცადინეობას ატარებს 5715 მწვრთნელი. ზულის სამთო კურორტების დამსვენებელთა შორის დიდად პოპულარულია მასობრივი შეჯიბრებები სათხილამურო სპორტში, ციგურაობაში, ციგაობაში, ტურიზმში. პოპულარულია, აგრეთვე, გდრ-ში ამ ბოლო დროს ფართოდ გავრცელებული მძლეოსნური კონკურსი დევიზით: „იჩქარე, გაირბინე მილი".

ზულის ოლქში ერთ-ერთი მთავარი სპორტული ცენტრია სამთო კურორტი ობერჰოფი ექსტრა-კლასის სათხილამურო ტრამპლინებით. აქ არის 13-სართულიანი სასტუმრო „პანორამა". ობერჰოფში ათასობით ადამიანი ატარებს შვებულებას პროფკავშირული საგზურებით. მათ აქ საუკეთესო პირობები აქვთ შექმნილი სპორტში მეცადინეობისთვის.

ამ ორი წლის წინათ ზულში აშენდა საუცხოო სპორტული დარბაზი „მეგობრობა". ახალი ბაზა აგებულია საბჭოთა არქიტექტორების პროექტით და ლენინგრადის სპორტის სასახლე „იუბილეინის" შემცირებულ ვარიანტს წარმოადგენს.

ბოლო წლებში ზულის ოლქმა დიდი პოპულარობა მოიპოვა როგორც დიდი საერთაშორისო შეჯიბრებების მასპინძელმა. 1971 წელს აქ ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი სროლაში, ხოლო 1973 წელს — მსოფლიო პირველობა საციგაო სპორტში.

ა. გრიგორიევი.
(საკდესის კორ.).

ბერლინი.



## ჩემპიონატის ფინიში

ვენა, 27 აგვისტო. სპორტის საწყლოსნო სახეობებში ავსტრიის დედაქალაქში დამთავრებული ევროპის ჩემპიონატი ამ ასპარეზობათა ისტორიაში შევა როგორც ერთ-ერთი ღირსსახსოვარი, საინტერესო, რეკორდების მხრივ უხვმოსავლიანი. მართლაც, ჩემპიონატის მსვლელობაში დამყარდა 17 მსოფლიო, 23 ევროპის, მრავალი ეროვნული რეკორდი. აღსანიშნავია, რომ მარტო საბჭოთა მოცურავეებმა 24 საკავშირო რეკორდის გაუმჯობესება შეძლეს. საბჭოთა სპორტულ დელეგაციას სამშობლოში მოაქვს აქ მოხვეჭილი ორი ძვირფასი ჯილდო — ევროპის თასი ვაჟთა გუნდურ შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის და ჰ. ფერნის თასი — წყალში ხტომაში წარმატებისთვის.

ბრწყინვალედ იასპარეზეს გდრ-ის სპორტსმენებმა, განსაკუთრებით ქალებმა. გდრ-ის წარმომადგენლებმა 14 მსოფლიო რეკორდი დაამყარეს და დაისაკუთრეს ბრედიუსის თასი ქალთა შეჯიბრებაში ყველაზე მეტი წარმატების მოპოვებისთვის.

* * *

სპორტის საწყლოსნო სახეობების ოსტატთა ევროპის ჩემპიონატში საბჭოთა ვაჟთა გუნდის მიერ მოპოვებულ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს ცნობილმა მოცურავეებმა ნ. პანკინმა და ა. სამსონოვმა, რომლებმაც ოქროს მედლები მოიხვეჭეს.

სურათზე თქვენ ხედავთ თავისუფალი სტილით 400 მეტრზე ცურვაში გამარჯვებულებს: ა. სამსონოვს (ცენტრში), შვედ გიუნშესა და ა. კრილოვს.

## ქალებმა გვასახელეს

ზაბრები, 26 აგვისტო. სსრ კავშირის მშვილდოსან ქალთა ნაკრებმა გაიმარჯვა ევროპის აქ მიმდინარე ჩემპიონატში. პირად შეჯიბრებაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, მოსკოველმა ე. გაპჩენკომ ვერცხლის მედალი დაიმსახურა — 1192 ქულა, ამ შეჯიბრების დებიუტანტმა ჩიტელმა გ. არხიპოვამ ბრინჯაო — 1190. კონტინენტის ახალი რეკორდით ევროპის ჩემპიონი გახდა ინგლისელი გოულდი — 1218 ქულა.

წარუმატებლად იასპარეზეს ვაჟებმა. მათ გუნდურ ჩათვლაში IV ადგილი დაიკავეს გფრ-ის, დანიისა და იტალიის ნაკრები გუნდების შემდეგ. საბჭოთა გუნდში სხვებზე უკეთ გამოვიდა ნაკრების დებიუტანტი, 19 წლის კიშინიოველი ა. ივანენკო, რომელსაც VII ადგილი. ხვდა — 1216 ქულა. გაიმარჯვა გფრ-ის სპორტსმენმა შიფლმა — 1243 ქულა (ეს შედეგი ევროპის რეკორდია).

ამ დღეებში ლენინგრადელმა ბირთვის მკვრელმა, დინამოელმა ა. ბარიშნიკოვმა „შესწორება შეიტანა" ევროპის რეკორდების ცხრილში. თავის ხელმძღვანელთან, სახელგანთქმულ მწვრთნელ ვ. ალექსეევთან ერთად ბარიშნიკოვმა დაამუშავა ბირთვის კვრის ახალი ხერხი (ეგრეთ წოდებული „წრიული ქანი"). 25 წლის ათლეტმა ბირთვი 21 მეტრსა და 70 სანტიმეტრზე ჰკრა. მან 3 სმ-ით აჯობა ხ. ბრიზენიკის (გდრ) ევროპის რეკორდს და მეტრზე მეტით — ვ. ვოიკინის („ბურევესტნიკი") საკავშირო მიღწევას.

სურათზე: ა. ბარიშნიკოვი.
საკდესის ფოტო.





მოსკოვის ხანიჩბოსნო არხზე სამ დღეს გაგრძელდა იუნიორთა საკავშირო პირველობა აკადემიურ ნიჩბოსნობაში.

სურათზე: ორადგილიანების ფინალური რბოლა.

ვ. სტეპანოვის ფოტო.

# საკდესის მოგვითხრობს

## იმარჯვეს ოლიმპიურმა ჩემპიონებმა

ჩახკაძორი, 27 აგვისტო. სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთისა და კუბის ფრენბურთელ ქალთა ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში. იმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა, ოლიმპიურმა ჩემპიონებმა, რომლებმაც სამივე მეტოქეს ფარ-ხმალი დააყრევინეს. მათ ერთნაირი ანგარიშით — 3:0 — მოუგეს ბულგარეთისა და ჩეხოსლოვაკიის კოლექტივებს, ხოლო კუბელებთან შეხვედრაში მხოლოდ ერთი პარტია დათმეს — 3:1.

II ადგილი დაიკავა კუბის ნაკრებმა. მომდევნო ადგილებზე არიან ჩეხოსლოვაკიისა და ბულგარეთის გუნდები.

# 40 წლის შემდეგ...



# უშბას შეჭიდებული ხუთი რაინდი

უშბა, ორთავა უშბა! იგი წლის ყოველ დროს სპეტაკი და იიმზიდველია, მაგრამ რამდენადაც მომხიბლავია, იმდენად გულზვიადია, გოროზი და მრისხანე. ამაყი უშბის დაპყრობა ყველა მთამსვლელის ოცნებაა. ბევრმა დაიმორჩილა კიდეც, მაგრამ ბევრს არ აპატია „გაკადნიერება". ბევრმა სიცოცხლე შესწირა სვანეთის მკაცრი რაინდის სიყვარულს.

— დიახ, მთაში ერთი სულ პატარა შეცდომა შეიძლება სიცოცხლის ფასად დაგვიჯდეს. და მაინც, ჩვენი ფიქრი და ოცნება მუდამ თოვლ-ყინულეთის სამეფოსკენ დაქრის, — გვეუბნება გივი ქართველიშვილი.

მოდით, ნუ გამოვეკიდებით იმის ძიებას, თუ რა იზიდავს გივის და მის ამხანაგებს იქით, მწვერვალებისკენ. ჩვენი მიზანია მოკლედ მოგითხროთ იმ ლაშქრობის შესახებ, რომელიც ამას წინათ ქართველიშვილმა და მისმა მეგობრებმა განახორციელეს უშბაზე.

ჯერ მამაცი ხუთეული გავიცნოთ: თბილისელები გივი ქართველიშვილი (მოიერიშე ჯგუფის ხელმძღვანელი) — მშენებელი ინჟინერი, თამაზ ბაქანიძე — მხატვარი, ტარიელ ლუკაშვილი — გეოგრაფი, ქუთაისელი მურად ჭიჭინაძე — სტუდენტი, მესტიელი ნუგზარ ნიგურიანი — სტუდენტი. ყველანი სსრ კავშირის ჩემპიონატების პრიზიორები არიან.

უშბაზე ასვლამდე მათ სხვა მწვერვალებთან ერთად აილამაც დაიპყრეს ყველაზე რთული, მესამე ბასტიონის 5-ბ კატეგორიის სირთულის გზით. მაშინ მათ მესტიელი ალიოშა გაზდელიანიც ახლდათ.

... ხუთეული კიდევ ერთხელ გამოემშვიდობა სოფელ უშხვანარში მცხოვრებ კეთილ მოხუცს, მთამსვლელების დედას მაკრინე ქურდიანს და უშბის კალთებისაკენ აიღო გეზი. როდესაც მძიმედ დატვირთულ მთამსვლელებს ულოცავდა გზას, მოხუცს ალბათ ის მამაცებიც ახსენდებოდა, 40 წლის წინათ საბჭოთა მთამსვლელთაგან პირველებმა რომ დაიპყრეს უშბა. ესენი იყვნენ ლეგენდარული დაძმა ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეები, გიო ნიგურიანი და იაგორ კაზალიკაშვილი. მათაც მაკრინე ქურდიანმა დაულოცა გზა. მას შემდეგ ყველას, ვინც უშბაზე საიერიშოდ ამ მხრიდან მიდის, აუცილებლად მაკრინეს თვალები მიაცილებს. გივის ჯგუფის ლაშქრობაც იმ ლეგენდარული ასვლის 40 წლისთავს ეძღვნებოდა.

ხუთეულმა ბანაკი შხელდის ყინვარზე დასცა. რამდენიმე დღეს აქედან აკვირდებოდნენ უშბის „ხასიათს". მისი ალესილი კედლებიდან ნისლი ფარდასავით ეშვებოდა. დროდადრო თვალშეუდგამი მწვერვალიდან ქვათა ცვენა იწყებოდა და გრუხუნი სადღაც უფსკრულში იკარგებოდა.

მათს წინ სამხრეთ უშბის დასავლეთი კედლის ცენტრალური, უზარმაზარი ვერტიკალური ბასტიონი აღმართულიყო.

30 ივლისს, განთიადისას, ჯგუფმა ბანაკი დატოვა...

ვერტიკალურ კედელზე ყოველი 8-10 მეტრის გავლის შემდეგ ჩაქუჩის კაკუნი გაისმოდა — მთამსვლელები კლდეში რკინის პალოებს ასობდნენ. ასე გაგრძელდა რვა დღე და ღამეს.. რვა ღამე კლდეს აკრულებმა გაათიეს.

— როგორა ხართ, ბიჭებო, ხომ არაფერი გიჭირთ? დღეში ორჯერ ეკითხებოდა მთამსვლელებს რადიოგადამცემით მესტიის სამაშველო ჯგუფის უფროსი ზაქრო მუშკუდიანი. ჯგუფი შხელდის ყინვარზე იყო დაბანაკებული.

მოლაშქრეებს ბედმა გაუღიმათ — კარგი ამინდი დაუდგათ.

რვა დღე და ღამე!

რაც უფრო ზევით მიიწევდნენ, მარშრუტი თანდათან რთულდებოდა — უფრო ხშირად ხვდებოდათ კლდის უარყოფითი დახრილობა. აი, მხოლოდ 250-მეტრამდე მანძილი აშორებთ მიზანს. ეს მონაკვეთი ყველაზე რთულია მთელს მარშრუტში.

და აჰა, 5 აგვისტოს, შებინდებისას, უშბიდან ცისფერი მაშხალა აიჭრა. კიდევ ერთხელ მოიხარა ქედი ამაყმა მწვერვალმა.

მალე დაღამდა. დაბრუნებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. მამაცმა ხუთეულმა ღამე იქ, მწვერვალზე გაატარა და დილით დაეშვა.

მესტიის ახალგაზრდობამ მათ გულთბილი შეხვედრა მოუწყო.

— ასრულდა ჩემი დიდი ხნის ოცნება: უშბა დავიპყარი. ასეთ ამხანაგებთან ერთად ლაშქრობა უდიდესი სიამოვნებაა. მათ მეორედ დაიპყრეს უშბა, მაგრამ ჩემზე ნაკლებად არ უხარიათ გამარჯვება, — ამბობს მურადი.

ჯგუფმა ლაშქრობისას „გზაზე" შეაგროვა და თან ჩამოიტანა ამ მარშრუტის პირველ გამვლელთა ოთხი საკონტროლო ტური, რომლებიც 1972 წელს ხარკოველი იური პრიგოდას ჯგუფმა დატოვა. მაშინ მათ საკავშირო ჩემპიონატში ოქროს მედლები მოიპოვეს. ხარკოველებმა ლაშქრობას თერთმეტი დღე და ღამე მოანდომეს, ქართველმა მთამსვლელებმა — რვა.

აი, რას ამბობს ამ ასვლის შესახებ სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს ალპიური კლუბის დირექტორი დ. ობოლაძე: „ეს მარშრუტი ყველაზე რთულია უშბისკენ მიმავალ გზებს შორის. მისი სირთულე უმაღლესი, მე-6 კატეგორიისაა. მე ვიცნობ ჯგუფის თითოეულ წევრს და ველოდი კიდეც ასეთ შედეგს".

„ქართველიშვილის ჯგუფის ლაშქრობა ღირსშესანიშნავი მოვლენაა „აილამასთვის". მხარს ვუჭერთ მთელი ჯგუფის სურვილს, რომ ასვლა უშბის პირველად დაპყრობის 40 წლისთავს მიეძღვნას". — ეს სიტყვები კი სსრ კავშირის სპორტკომიტეტის წარმომადგენელს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს მ. ბარუშკოს ეკუთვნის.

ა. ბურასაშვილი.





# მომავალ შეხვედრამდე!

30-იან წლებამდე უშბა აუღებელი ციხე-სიმაგრე იყო საბჭოთა მთამსვლელებისთვის. მაგრამ ბოლოს და ბოლოს გამოჩნდნენ პირველი მერცხლები: ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეები, გიო ნიგურიანი და იაგორ კაზალიკაშვილი. მათ დაიმორჩილეს მიუკარებელი მწვერვალი.

მას შემდეგ ორმოცი წელი გავიდა. უშბაზე პირველმა საბჭოთა ასვლამ ბიძგი მისცა მისი მასივის ათვისებას. ამ ხნის მანძილზე დაიხვეწა და ძირფესვიანად შეიცვალა საბჭოთა მთამსვლელების ტექნიკა, გაიზარდა სპორტსმენთა ოსტატობა, ბევრმა მთამსვლელმა გაიხარა უშბის დაპყრობით. მაგრამ მისი დამორჩილება დღესაც ძალზე ძნელია. უშბა მთამსვლელთა ოსტატობის საზომადაა ქცეული.

მთამსვლელობის ინსტრუქტორთა საკავშირო სკოლის მწვრთნელებმა — ლენინგრადელებმა მ. ზახოემა და ი. პულინეცმა, სვერდლოვსკელმა ვ. ვერბენსკიმ და ამ სტრიქონების ავტორმა გადავწყვიტეთ უშბის პირველი დაპყრობის ორმოცი წლისთავი ამ მწვერვალზე ასვლით აღგვენიშნა.

იერიში უჩვეულოდ ადრე — 2 ივლისს დავიწყეთ. ეს პერიოდი მაინცდამაინც ხელსაყრელი არ არის უშბის შტურმისთვის. ამიტომაც იყო, რომ ლაშქრობა „ჯვრის" სახელით ცნობილი მარშრუტით ექვს დღეს გაგრძელდა. კარგი ამინდის პირობებში მწვერვალის დაპყრობა გაცილებით მოკლე დროში შეიძლებოდა.

გავლილი გზა ერთ-ერთი ყველაზე რთულია უშბის მარშრუტებს შორის. ეს მარშრუტი, რომელიც მე-5-ბ კატეგორიას მიეკუთვნება, დასავლეთ კედლის ცენტრალური კონტრფორსით იწყება, უშბის პლატოდან ადის ჩრდილოეთისა და სამხრეთის მწვერვალების შემაერთებელ ქედზე. აქედან მარშრუტი მიემართება როგორც ერთი, ისე მეორე წვეროსკენ და მთავრდება უშბის პლატოდან აღმოსავლეთ მხარეს გულის ყინვარზე დაშვებით. ამ მარშრუტის გავლით ჯვარი იხაზება და ამიტომაც შეარქვეს მას ეს სახელი. იგი საბჭოთა მთამსვლელთაგან პირველმა უკრაინის ჯგუფმა გაიარა კ. ბაროვის ხელმძღვანელობით 1961 წელს.

დიდი იყო ჩვენი სიხარული, როდესაც ლაშქრობის მეექვსე დღეს უშბა დავიპყარით. მაგრამ ამ სიხარულთან ერთად ერთგვარი სევდითაც გადმოვხედეთ სვანეთის ქედს, რომელიც აქედან ხელისგულივით მოჩანს. რატომაა „აუთვისებელი" ეს საინტერესო მასივი? ვინ თქვა, რომ კავკასიონზე აუღებელი მწვერვალები აღარ არისო? უმაღლესი, მე-6 კატეგორიისა თუ არა, სხვა სირთულის უსახელო მწვერვალი ჯერ კიდევ ბევრია.

სვანეთის ქედი ელის თავის ჯაფარიძეებს, კაზალიკაშვილებს, ნიგურიანებს...

ამბობენ, ყველაზე მომხიბლავი ის მწვერვალია, რომელზედაც ჯერ არ ავსულვართო. არ არის სწორი: უშბის სილამაზე მე მაშინაც შევიგრძენი, როცა სოფელ გულის თავზე გამავალ საცალფეხო ბილიკზე გამოვედით. უშბა ძველებური სიამაყით დაგვცქეროდა ზემოდან.

მომავალ შეხვედრამდე, უშბავ!

ი. ხაბულიანი.

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზევით — უშბა. მარჯვნივ წერტილებით აღნიშნულია გ. ქართველიშვილის ჯგუფის მარშრუტი, ხოლო მარცხნივ — წყვეტილი პუნქტირით იმ ჯგუფის გზა, რომელშიც ჩვენი თანამემამულე ი. ხაბულიანიც შედიოდა; ქვემოთ, მარცხნივ — თ. ბაქანიძე უშბის კედელზე; მარჯვნივ — მწვერვალზე. მარცხნიდან — ნ. ნიგურიანი, მ. ჭიჭინაძე, ტ. ლუკაშვილი და გ. ქართველიშვილი.

თ. ბაქანიძისა და ტ. ლუკაშვილის ფოტოები.

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ლიგა

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 19 | 9 | 8 | 2 | 27—12 | 26 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 19 | 6 | 12 | 1 | 24—22 | 24 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 19 | 8 | 7 | 4 | 20—15 | 23 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 19 | 8 | 6 | 5 | 25—18 | 22 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 19 | 7 | 8 | 4 | 27—22 | 22 |
| „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 19 | 7 | 7 | 5 | 18—17 | 21 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 19 | 6 | 8 | 5 | 26—21 | 20 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 19 | 5 | 9 | 5 | 19—20 | 19 |
| „არარატი“ (ერევანი) | 18 | 6 | 6 | 6 | 20—17 | 18 |
| „კაირათი“ (ალმა-ათა) | 19 | 5 | 8 | 6 | 28—27 | 18 |
| ცსკა | 19 | 5 | 7 | 7 | 22—25 | 17 |
| „პახთაკორი“ (ტაშკენტი) | 19 | 5 | 7 | 7 | 26—32 | 17 |
| „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) | 19 | 4 | 7 | 8 | 22—25 | 15 |
| „დინამო“ (თბილისი) | 19 | 3 | 9 | 7 | 15—26 | 15 |
| „კარპატი“ (ლვოვი) | 18 | 2 | 9 | 7 | 13—20 | 13 |
| „ნისტრუ“ (კიშინიოვი) | 19 | 3 | 6 | 10 | 25—38 | 12 |

## I ლიგა

26 აგვისტოს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი ტურის კალენდარული მატჩები.

ქუთაისის ტორპედოელები აშხაბადში შეხვდნენ ადგილობრივ „სტროიტელს“. თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

ტურის სხვა შედეგები ასეთია: „კუზბასი“ (კემეროვო) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 0:2, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 1:2, „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 0:1, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „დინამო“ (მინსკი) 0:2, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 3:1, „ზვეზდა“ (პერმი)— „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) 4:1, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — ასკ (დონის როსტოვი) 0:0, „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „კუბანი“ (კრასნოდარი) 3:3.

## II ლიგა III ზონა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“ (ვლადიმირი) | 27 | 15 | 8 | 4 | 41—18 | 38 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 26 | 14 | 9 | 3 | 38—13 | 37 |
| „ისარა“ (სმოლენსკი) | 27 | 16 | 5 | 6 | 43—20 | 37 |
| „დინამო“ (ვოლოგდა) | 27 | 14 | 7 | 6 | 41—25 | 35 |
| „დილა“ (გორი) | 26 | 15 | 4 | 7 | 60—30 | 34 |
| „ურალანი“ (ელისტა) | 27 | 14 | 6 | 7 | 36—23 | 34 |
| „ხიმიკი“ (ძერჟინსკი) | 27 | 13 | 7 | 7 | 38—23 | 33 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 26 | 11 | 8 | 7 | 31—31 | 30 |
| „დინამო“ (სტავროპოლი) | 27 | 10 | 7 | 10 | 39—27 | 27 |
| „დინამო“ (ბრიანსკი) | 27 | 11 | 5 | 11 | 34—32 | 27 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 27 | 6 | 13 | 8 | 33—35 | 25 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 26 | 8 | 9 | 9 | 34—41 | 25 |
| „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) | 27 | 10 | 4 | 13 | 29—33 | 24 |
| „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) | 27 | 10 | 3 | 14 | 28—35 | 23 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 26 | 9 | 4 | 13 | 33—34 | 22 |
| „დინამო“ (ზუგდიდი) | 27 | 8 | 4 | 15 | 28—53 | 20 |
| „შირაკი“ (ლენინაკანი) | 26 | 7 | 5 | 14 | 27—45 | 19 |
| „კოლხეთი“ (ფოთი) | 27 | 6 | 6 | 15 | 17—36 | 18 |
| „ლორი“ (კიროვაკანი) | 26 | 3 | 7 | 16 | 14—53 | 13 |
| „ფოლადი“ (სუმგაითი) | 26 | 5 | 1 | 20 | 16—53 | 11 |

# პირველი ეტაპის ფინიში

რომი, 26 აგვისტო. კალათბურთელ ქალთა ევროპის ჩემპიონატში დღეს დასვენების დღეა. ჯგუფური ტურნირების მონაწილეებმა უკვე მოაგვარეს თავიანთი საქმეები და ახლა კალიარში გადაბარგდნენ, სადაც ერთდღიანი შესვენების შემდეგ დაიწყება ფინალური მატჩები.

როგორ შეიძლება შევაფასოთ ჯგუფური ტურნირების შედეგები? მოხდა თუ არა რაიმე მოულოდნელი ჩემპიონატის პირველ ეტაპზე? ამ შეკითხვებზე ყველაზე უკეთ პასუხს გაგვცემს გათამაშების ცხრილები:

### კალიარის ჯგუფი

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ჩეხოსლოვაკია | 3 | 3 | 0 | 3 |
| საფრანგეთი | 3 | 2 | 1 | 2 |
| პოლანდია | 3 | 1 | 2 | 1 |
| დანია | 3 | 0 | 3 | 0 |

I ადგილის ბედი ამ ჯგუფში გადაწყდა ტურნირის ბოლო დღეს. ჩეხოსლოვაკიელებმა დიდი გაჭირვებით სძლიეს ფრანგებს (53:48) და ჯგუფში პირველობა დაისაკუთრეს.

### სასარის ჯგუფი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 3 | 3 | 0 | 3 |
| უნგრეთი | 3 | 2 | 1 | 2 |
| იუგოსლავია | 3 | 1 | 2 | 1 |
| გფრ | 3 | 0 | 3 | 0 |

საბჭოთა კალათბურთელების — ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონების წარმატება კანონზომიერია. მათ სამივე მატჩი დიდი უპირატესობით მოიგეს. გამარჯვებულს გატანილი და მიღებული ბურთების ჩინებული ბალანსი აქვს—277—164. როგორც ჩემპიონატის პირველმა სამმა მატჩმა ცხადყო, საბჭოთა გუნდს ყველაზე ძლიერი თავდასხმა და ყველაზე საიმედო დაცვა ჰყავს.

ერთგვარად მოულოდნელი იყო იუგოსლავიის კალათბურთელთა წარუმატებლობა. ისინი ფინალში თამაშს ვარაუდობდნენ, მაგრამ პირველსავე წრეში შეხვდნენ მთავარ მეტოქეს — უნგრეთს და დამარცხდნენ ანგარიშით 57:65. დარჩენილ ორ ბრძოლას იუგოსლავიელებისთვის მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა ჰქონდა. ფინალისკენ მიმავალი გზა მათთვის გადაკეტილი იყო.

### ნუოროს ჯგუფი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბულგარეთი | 3 | 3 | 0 | 3 |
| რუმინეთი | 3 | 2 | 1 | 2 |
| პოლონეთი | 3 | 1 | 2 | 1 |
| ესპანეთი | 3 | 0 | 3 | 0 |

ბულგარელთა წარმატება, რა თქმა უნდა, მოულოდნელი არ იყო, პოლონელთა მარცხი კი თამამად შეიძლება ჩაითვალოს ჯგუფური ტურნირების მთავარ სენსაციად. ყოველ შემთხვევაში, ჩემპიონატის დაწყებამდე სპეციალისტთა დიდი უმრავლესობა პოლონელებს ანიჭებდა უპირატესობას რუმინელებთან შედარებით. მაგრამ ყოველი ჩემპიონატი სწორედ იმით არის საინტერესო, რომ არღვევს დაკანონებულ დოგმებს. რუმინელებმა ბრძოლით დაიმსახურეს ის ადგილი, რომელიც მათ ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლებას აძლევს.

# სსრ კავშირი და აშშ

ბოგოტა, 26 აგვისტო. გრძელდება კალათბურთელ ვაჟთა დიდი საერთაშორისო ტურნირი — ეროვნებათა თასის გათამაშება. კოლუმბიელი გულშემატკივრები ინტერესით ადევნებენ თვალს მსოფლიოს უძლიერეს კალათბურთელთა ასპარეზობას.

ტურნირს მცირედი დაგვიანებით შეუერთდა კიდევ ორი კოლექტივი — პანამისა და კოლუმბიის ნაკრები გუნდები. გუშინ სწორედ მათი მონაწილეობით შედგა ორი მატჩი.

მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს — სსრ კავშირის ნაკრებს თავისი ღირსების დაცვა პანამელებთან ორთაბრძოლაში მოუხდა. ფავორიტის უპირატესობა აშკარა იყო პირველიდან ბოლო წუთამდე. მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა გაიმარჯვა დიდი ანგარიშით — 114:61.

არც მეორე მატჩი გამოდგა დაძაბული. აშშ-ს ნაკრებმა დაამარცხა კოლუმბიის გუნდი — 106:66.

ტურნირს ჯერჯერობით საბჭოთა და ამერიკელი სპორტსმენები ლიდერობენ. მათ 2-2 გამარჯვება აქვთ მოპოვებული.

# სოხუმელი სპორტსმენი კვლავ გამოირჩეოდა

ვოროშილოვგრადის სპორტის სასახლეში დამთავრდა სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენელთა ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში მეგობრობის პრიზზე.

გუნდურ ჩათვლაში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა მოჭიდავეებმა. ნაკრებს ჩასათვლელი ქულები მოუტანა სოხუმის მ. გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზაღზრდის ფაკულტეტის სტუდენტმა, დინამოელმა სპორტის ოსტატმა ა. მინასიანმაც. სოხუმელმა ქვემძიმე წონის ათლეტმა მეოთხედ მოიგო ეს საერთაშორისო ტურნირი.

გამარჯვების გზა იოლი არ იყო. პირველი შეხვედრა მინასიანს ჭაბუკთა შორის სსრ კავშირის ჩემპიონთან, ზაპოროჟიელ სპორტის ოსტატ ვ. ვოვკოვთან ჰქონდა და მძიმე ბრძოლაში ქულებით აჯობა მას. მისი შემდგომი მეტოქე იყო გდრ-ის ჩემპიონი რ. შტიცე. მასთან სოხუმელმა ერთ წუთში წმინდა გამარჯვება მოიპოვა.

დადგა შეჯიბრების მესამე, გადამწყვეტი დღე. საპატიო ტიტულის დასაცავად სოხუმელს დილით აუცილებლად უნდა მოეგო ჩეხოსლოვაკიელი გ. სმოლაკისთვის. ეს ამოცანა მინასიანმა შეასრულა. იმავე საღამოს მან წმინდად მოუგო ფინალურ ბრძოლაში ბულგარელ ს. ივანოვს და ტურნირში გამარჯვება მოიპოვა.

გ. კოლოსიანი.

• • •



სურათზე: ა. მინასიანი.

ავტორის ფოტო.

## საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

### პირველი ჯგუფი

● „სალხინო“ (გეგეჭკორი) — ასკ (თბილისი) 3:0. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).

გეგეჭკორელმა ფეხბურთელებმა თავიანთ ამ წარმატებას მიაღწიეს მატჩის მეორე ნახევარში. მათ მთლიანად ხელთ იგდეს უპირატესობა და გაგუამ (2) და ოდიშარიამ ზედიზედ აიღეს არმიელთა კარი.

● „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „განთიადი“ (თბილისი) 2:1. მსაჯი ა. აფრიდონიძე (ქუთაისი).

უშედეგოდ დამთავრებული ტაიმის შემდეგ მასპინძლებმა საგრძნობლად მოუმატეს ტემპს, ანგარიში გახსნა ნაჭყებიამ, შემდეგ სტუმრების კარში მეორე ბურთი მოათავსა ეთერიამ და „განთიადმა“ მხოლოდ ის შეძლო, რომ გაქვითა ერთი გოლი (ხოპაშვილი).

● „კოლხეთი“ (ხობი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0:0. მსაჯი უ. ძნელაძე (თბილისი).

● „ქართლი“ (გორის რაიონი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 2:1. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

გორელებმა იერიშით დაიწყეს თამაში და რამდენიმე კარგი შესაძლებლობის შემდეგ მამესწარაშვილმა გახსნა ანგარიში. ეს გოლი ზესტაფონელებმა შესვენების შემდეგ გაქვითეს (გლინიანოვი), მაგრამ მატჩის დასასრულს სტუმრების ერთ-ერთმა მცველმა არაზუსტად ითამაშა და საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი.

● „ივერია“ (ხაშური) — „სულორი“ (ვანი) 2:2. მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).

მასპინძლები ამ მატჩს იგებდნენ ანგარიშით 2:0, გამარჯვება კი ვერ შეინარჩუნეს: ვანელმა სულაბერიძემ შეძლო ორივე გოლის გაქვითვა.

აღსანიშნავია, რომ მინდვრიდან გააძევეს ხაშურელი ო. მაღლაკელიძე, რომელმაც ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა „სულორის“ ერთ-ერთ მოთამაშეს. გაფრთხილებულია ვანელი თ. სულაბერიძე და ეს მისი მესამე გაფრთხილებაა წლევანდელ სეზონში.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 0:5. მსაჯი თ. სადილაძე (თბილისი).

თასის ფინალური მატჩის წაგების შემდეგ სტუდენტებმა ძალზე სუსტად ჩაატარეს ჩემპიონატის ეს თამაში და დიდი ანგარიშითაც დამარცხდნენ. ანგარიში გახსნა მელნიკოვმა, ხოლო შემდეგ გორგილაძემ ზედიზედ 4 ბურთი გაიტანა.

● „ვარძია“ (ასპინძა) — „დინამო“ (სოხუმი) 2:1. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).

ანგარიში 55-ე წუთზე გახსნა სოხუმელმა ხარტაკოპულომ, სულ რამდენიმე წუთის შემდეგ კი ფართლაძემ გაქვითა ეს გოლი. უკვე მაშინ, როცა მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა, დინამოელთა მეკარემ ვერ შეძლო ასპინძელი ჯაშის მიერ შორი მანძილიდან დარტყმული ბურთის აღება.

● „მადაროელი“ (ჭიათურა) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 3:0. მსაჯი ა. დურსუნიში (სოხუმი).

მადაროელ ფეხბურთელთა უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა მთელი მატჩის მსვლელობაში. სტუმრების კარში ბურთები გაიტანეს მაღრაძემ (2) და თაბაგარმა.

მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან გაძევებულია „ლოკომოტივის“ მოთამაშე ვ. ხაჩატურიანი, ხოლო მის თანაკლუბელ ზ. ნემსაძეს მიეცა გაფრთხილება.

● „კახეთი“ (თელავი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 3:1. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).

პირველი ტაიმის განმავლობაში ცხინვალელები კარგად თამაშობდნენ და საერთო უპირატესობაც ჰქონდათ, მაგრამ მეტოქის კონტრშეტევის დროს, მე-40 წუთზე, მათი ერთ-ერთი მცველი ხელით შეეხო ბურთს და ცირეკიძემ ზუსტად გამოიყენა პენალტი. შესვენების შემდეგ იმავე ცირეკიძემ კიდევ 2 ბურთი გაიტანა, რასაც მხოლოდ ერთით უპასუხა სპარტაკელმა ვიაჩ. კოზაევმა.

● „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 3:0. მსაჯი ა. აფრიდონიძე (ქუთაისი).

მსაჯთან კამათისთვის მინდვრიდან გააძევეს ტყიბულელი შ. გვენეტაძე, რომელსაც წლეულს უკვე ჰქონდა გაფრთხილება მიღებული.

● „ეგრისი“ (ცხაკაია) — ასკ (თბილისი) 1:2. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

### მეორე ჯგუფი

#### I ზონა

„კოლმეურნე“ (ბორჯომი) — „ყინწვისი“ (ქარელი) 4:1, „დურუჯი“ (ყვარელი) — „არაგვი“ (დუშეთი) 10:1, „განახლება“ (ადიგენი) — „განთიადი“ (კასპი) 2:1, „მესხეთი“ (ახალციხე) — „ჭერეთი“ (ლაგოდეხი) 5:2, „სამცხე“ (აწყური) — „მადნეული“ (ბოლნისი) 0:0, „ცისკარი“ (სიონაღი) — „ალაზანი“ (გურ, აა[illegible]ი) 2:3.

#### II ზონა

ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) — „სქური“ (წალენჯიხა) 2:0, „მზიური“ (გალი) — „კოლმეურნე“ (გულრიფში) 3:1, „განთიადი“ (აბაშა) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 1:1, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „იმერეთი“ (თერჯოლა) 1:3.

### ზონალური პირველობა

„თრიალეთი“ (წალკა) — „გარიხი“ (თეთრი წყარო) 3:1, „ფარვანა“ (ბოგდანოვკა) — „არაგვი“ (მცხეთა) 3:2, „მეშაქრე“ (აგარა) — „სპარტაკი“ (მარნეული) 1:0, „იორი“ (თიანეთი) — „იორი“ (სართიჭალა) 3:1, „წინანდალი“ (თელავი) — „შალაური“ (თელავი) 3:4, „ქიმიკოსი“ (ახმეტა) — „პოლიტექნიკოსი“ (საგარეჯო) 0:0, „მშენებელი“ (ჭიათურა) — „ქიმიკოსი“ (წულუკიძე) 1:0, „ხვანჭკარა“ (ამბროლაური) — „კოლმეურნე“ (ლანჩხუთი) 1:0.

### გათამაშების ცხრილი

#### I ჯგუფი

მდგომარეობა 28 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 22 | 14 | 6 | 2 | 45—15 | 34 |
| „მადარ.“ | 22 | 14 | 4 | 4 | 41—12 | 32 |
| „სალხინო“ | 23 | 10 | 11 | 2 | 36—18 | 31 |
| ასკ (თბილისი) | 22 | 12 | 6 | 4 | 48—26 | 30 |
| „დინამო“ | 22 | 11 | 6 | 5 | 37—20 | 28 |
| „მეტალურგი“ (ზესტაფ.) | 23 | 10 | 7 | 6 | 39—30 | 27 |
| ფიზკ. ინსტ. | 21 | 10 | 6 | 5 | 41—31 | 26 |
| „შუქურა“ | 23 | 9 | 6 | 8 | 33—22 | 24 |
| „კახეთი“ | 22 | 9 | 6 | 7 | 38—34 | 24 |
| „ლოკომ.“ | 20 | 8 | 7 | 5 | 31—26 | 23 |
| „ეგრისი“ | 23 | 9 | 5 | 9 | 31—29 | 23 |
| „კოლხეთი“ | 22 | 6 | 10 | 6 | 28—27 | 22 |
| „ამირანი“ | 21 | 8 | 5 | 8 | 21—22 | 21 |
| „ქართლი“ | 23 | 8 | 5 | 10 | 36—38 | 21 |
| „მეშახტე“ | 22 | 7 | 4 | 11 | 26—41 | 18 |
| „განთიადი“ | 23 | 4 | 7 | 12 | 25—39 | 15 |
| „სულორი“ | 23 | 5 | 5 | 13 | 22—62 | 15 |
| „ვარძია“ | 23 | 5 | 3 | 15 | 19—43 | 13 |
| „სპარტაკი“ | 23 | 3 | 4 | 16 | 24—52 | 10 |
| „ივერია“ | 23 | 4 | 1 | 18 | 21—55 | 9 |

# მოისეევი მსოფლიო ჩემპიონია

ჟენევა, 26 აგვისტო. 250-იანებით მოტოკროსში მსოფლიო ჩემპიონი გახდა საბჭოთა მრბოლელი გ. მოისეევი. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც დამთავრდა ბოლო, მეთერთმეტე ეტაპი, რომელიც შვეიცარიის ქალაქ ვოლენის მახლობლად გაიმართა და 35 ათასი მაყურებელი დაესწრო.

მიუხედავად იმისა, რომ აქ მოისეევი წარუმატებლად გამოვიდა, დაგროვილი ქულების ჯამით მან აჯობა თავის ძირითად მეტოქეებს — ჩეხოსლოვაკიელ ი. ფალტს და ბელგიელ გ. ევერტს, რომლებმაც შესაბამისად II და III ადგილები დაიკავეს.

საბჭოთა სპორტსმენი ლიდერობდა თითქმის მთელი ჩემპიონატის მანძილზე, რომელმაც სტარტი გაზაფხულზე აიღო. მოისეევმა გაიმეორა ვ. არბეკოვის წარმატება, რომელიც ჩემპიონი იყო 1965 წელს.

გენადი 26 წლისაა. იგი ლენინგრადის ა. ჟდანოვის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მოტოსექციის აღზრდილია, სსრ კავშირის ჩემპიონატების მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი.

# ხუთჭიდელები იასპარეზებენ მოსკოვში

□

**მსოფლიო ჩემპიონატის წინ**

□

მოსკოვი, 27 აგვისტო. ოთხი დღის შემდეგ, 31 აგვისტოს, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნება თანამედროვე ხუთჭიდის ოსტატთა XX საიუბილეო მსოფლიო ჩემპიონატი. ასპარეზობაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 22 სახელმწიფომ. შეჯიბრების ორგანიზატორებმა შეარჩიეს დედაქალაქის საუკეთესო სპორტული ბაზები. სპორტის ამ სახეობის ისტორიაში პირველად, ხუთივე სახეობის ჯამში I-III ადგილზე გასული სპორტსმენების გარდა (მათ გადაეცემათ თანამედროვე ხუთჭიდისა და ბიატლონის საერთაშორისო ფედერაციის მედლები) ჯილდოებს მიიღებენ ყოველ სახეობაში საპრიზო ადგილებზე გასული სპორტსმენები. ეს ჯილდოები — ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს 30 მედალი — დააწესა ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა.

პირველი სტუმრები, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვს ესტუმრნენ, იაპონელები იყვნენ. იაპონელთა გუნდის წევრმა, ამ ქვეყნის ორგზის ჩემპიონმა მ. საკანომ განაცხადა, რომ იგი პირველადაა საბჭოთა დედაქალაქში და მოიხიბლა მისი სილამაზით, გრანდიოზულობით.

სპეციალისტების აზრით, გუნდური პირველობისთვის ბრძოლა გაიმართება აშშ-ს, გფრ-ის, საფრანგეთის, უნგრეთისა და ფინეთის კოლექტივებს შორის. პირად შეჯიბრებაში ჩემპიონობის მოხვეჭის შანსები აქვთ მასპინძლებს — ლედნიოვს, შმელიოვს, ონიშჩენკოს, ამერიკელ ტეილორს, ინგლისელ ფოქსს, უნგრელ მოროჩკას და სხვებს.

# გადამწყვეტი ბრძოლების წინ

ჰავანა, 27 აგვისტო. მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონატი დასკვნით ფაზაში შედის. უკვე მთავრდება მეოთხედფინალური ბრძოლები და შეხვედრებში გამარჯვებულები უკვე მომავალ მეტოქეებზე ფიქრობენ, ეძებენ გამარჯვების მოხვეჭის გზებს.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა მოკრივე ო. კარატაევი (ქვემძიმე) მეტოქის გამოუცხადებლობის გამო ნახევარფინალში გავიდა, მის კვალს მიჰყვნენ ოლეგის თანაგუნდელები, ბ. კუზნეცოვი (ქვემსუბუქი) და ვ. სოლომინი (მსუბუქი). პირველმა მოუგო რ. ველერს, მეორემ — პ. გესს (ორივე — გფრ).

ოლიმპიური ჩემპიონი ქვემძიმე წონაში, იუგოსლაველი მ. პარლოვი პირველსავე რაუნდში ორჯერ აღმოჩნდა ნოკდაუნში, მაგრამ შემდეგ უძლიერესი დარტყმა მიაყენა მეტოქეს, კუბელ ხ. კარილიას და ეს უკანასკნელი იატაკზე აღმოჩნდა. შემდეგ კუბელი მოკრივე კიდევ ორჯერ იყო ნოკდაუნში და გამარჯვება პარლოვს მიეკუთვნა.

# ჯილდოები დაისაკუთრეს

3 თვე გაგრძელდა სსრკ თასის გათამაშება ფრენბურთში, რომელშიც ასზე მეტი გუნდი გამოდიოდა. ჯილდოები დაისაკუთრეს ოდესის სამედიცინო ინსტიტუტის ქალთა და როსტოვის არმიელ ვაჟთა გუნდებმა.

ოდესელებმა ფინალში მოუგეს ბაქოს „ნეფთჩის" (3:0), რიგის „ავრორას" (3:1), მოსკოვის „დინამოს" (3:1). ასევე დაუმარცხებლად განვლეს გათამაშების დასკვნითი ეტაპი როსტოველებმა. მათ სძლიეს მოსკოვის „დინამოს" (3:0), ოდესის გუნდს (3:1) და კიევის „ლოკომოტივს" (3:2).



# ტურისტული ზაფხულის „ტყვეობაში"



საქართველოს სამხედრო გზა ტურისტებისა და ექსკურსანტების საყვარელი მარშრუტია. ათასობით მოგზაური ეტანება საქართველოს მდიდარი წარსულის ამსახველ ადგილებს. ტურისტები ინტერესით ათვალიერებენ ძველ ისტორიულ ძეგლებს, ციხეებს, გზებს, ეცნობიან საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებას და შთაბეჭდილებებით აღსავსენი ბრუნდებიან მშობლიურ ქალაქებში.

ზაფხული იწურება, ტურისტული სეზონი კი გრძელდება. ამ დღეებში საქართველოს სამხედრო გზის წარმტაცი პეიზაჟით ტკბებოდნენ ხარკოველი მოგზაურები. ისინი ველოსპორტის მწვრთნელთა სემინარის მონაწილენი იყვნენ და სემინარზე მიღებული ცოდნა ლაშქრობაში შეამოწმეს. ამ ველოგადარბენას სტარტი ხარკოვში მიეცა. მოგზაურებმა გაიარეს როსტოვი, პიატიგორსკი, ჯვრის უღელტეხილით თბილისს ეწვივნენ, მერე კი უკან დაბრუნდნენ.

ბევრი რამ აქვთ მათ მოსაყოლი ნაცნობებისთვის, ახლობლებისთვის, მეგობრებისთვის. მდიდარი შთაბეჭდილებების დავიწყება ასეთ მოკლე პერიოდში ძნელია, მაგრამ გუშინდელი ტურისტები არც ჩქარობენ. მათ „სისტემაში უნდა მოიყვანონ" ყველაფერი — ნანახი და გაგონილი, ჯერ თვითონ უნდა გაიაზრონ ბოლომდე და მერე გაუზიარონ სხვებს.

* * *

სურათებზე: ველოგადარბენის მონაწილეთა ჯგუფი საქართველოს სამხედრო გზაზე; მწვრთნელები ნ. ზინჩენკო და ვ. ალექსეევი ერთხელ კიდევ აზუსტებენ მარშრუტს ჯვრის უღელტეხილზე.

გ. ვახტანგაძის ფოტოები.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### კლაფი — „ლიდსის" მენეჯერი

დ. რივი, რომელიც ინგლისის ნაკრების მწვრთნელი გახდა, „ლიდს იუნაიტედში" შეცვალა ახალგაზრდა მწვრთნელმა ბ. კლაფმა. კლაფს ინგლისში დიდი სახელი აქვს. საქმე ისაა, რომ მან „დერბი ქაუნთის" 1972 წელს ინგლისის ჩემპიონის წოდება მოუტანა, თუმცა ამ გუნდს დაბალ შეფასებას აძლევდნენ.

საინტერესოა, რომ კლაფი თვით იყო ინგლისის ნაკრების მწვრთნელის პოსტის ერთ-ერთი პრეტენდენტი.

● ●

### 26 წლის შემდეგ

26 წელს მუშაობდა მწვრთნელად ჰოლანდიის კლუბებში ცნობილი სპეციალისტი ფ. ფადრონცი. მისი ხელმძღვანელობით ჰოლანდიის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. ფინალურ მატჩებში ფადრონცი ეხმარებოდა რ. მიხელსს და მასთან ერთად დაიმსახურა ჰოლანდიის უმაღლესი ორდენი.

ახლა გამოცხადდა, რომ ხანდაზმული მწვრთნელი ტოვებს ჰოლანდიას. იგი საბერძნეთის I ლიგის კლუბ აეკ-ის (ათენი) ხელმძღვანელი გახდა.

● ●

### ბუნდესლიგა ავსტრიაში

როგორც ვენიდან იუწყებიან, ავსტრიაში შეიქმნა ბუნდესლიგა, რომელიც 10 გუნდს აერთიანებს. ეს გუნდები ერთმანეთს შორის ორის ნაცვლად 4 მატჩს ითამაშებენ. ამრიგად, თამაშების რაოდენობა ავსტრიის ჩემპიონატში გაიზრდება.

გუნდების შეკვეცას ავსტრიის ფეხბურთის მესვეურები იმით ამართლებენ, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა 6 სუსტი კლუბის ჩამოცილების შემდეგ, რომლებიც ფაქტიურად ქულებს არიგებდნენ და მაყურებლებს თამაშებზე დასწრების სურვილს უკარგავდნენ, გაცილებით უფრო გამწვავდება.

● ●

### ასე დასაჯეს „ჰელასი"

იტალიის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ „ჰელასი" (ვერონა) თითქოს გადაურჩა საფრთხეს და I ლიგაში დარჩა. ბოლო 3 ადგილზე, რაც პირველი ლიგის დატოვებას ნიშნავს, გავიდნენ „სამპდორია", „ჯენოვა" და „ფოჯა".

„სამპდორიის" ხელმძღვანელობამ იტალიის ფეხბურთის ფედერაციაში შეიტანა საჩივარი, რომ „ჰელასი" (ვერონა) სისტემატურად ცდილობდა სხვადასხვა გუნდების მოთამაშეების მოსყიდვას. ფედერაციამ განიხილა საჩივარი. ბრალდება „ჰელასის" მიმართ დამტკიცდა, გადაწყვეტილება ასეთია: „სამპდორია" I ლიგაში რჩება, „ჰელასი" კი მის მაგივრად გადადის II ლიგაში.

# კიდევ ერთი დაკარგული შანსი

ეს თამაში ინგლისელებმა გამოიგონეს მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული ფეხბურთელთა X მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები. თამაშის გამოგონების ინიციატივა ეკუთვნის „ჰემლის" ფირმას. მაგიდის ფეხბურთმა — ასე ჰქვია ამ თამაშს — სულ მცირე ხანში მოიპოვა პოპულარობა ინგლისში. მას თამაშობენ არა მარტო ბავშვები, არამედ უფროსებიც.

მაგრამ აი, დადგა მძიმე დღეები ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში. 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონმა ვერ გადალახა შესარჩევი ტურნირების ბარიერი და მოულოდნელად „თამაშგარე მდგომარეობაში" აღმოჩნდა. მძიმე გლოვის დღეებში საფრთხეში აღმოჩნდა „ჰემლის" ფირმის გამოგონებაც, რომლის მთავარი დანიშნულება იყო რიტმში აჰყოლოდა საყოველთაო საფეხბურთო აჟიოტაჟს და „მცირედი" სარგებელი მოეტანა ფირმისთვის.

გამჭრიახმა საქმოსნებმა ამ რთული მდგომარეობიდანაც ნახეს გამოსავალი. მიუნხენის ტურნირის პარალელურად მათ მოაწყვეს მსოფლიო ჩემპიონატი მაგიდის ფეხბურთში. დაინიშნა სპეციალური პრიზები 2 ათასი გირვანქა სტერლინგის რაოდენობით (რას არ მოიგონებს ადამიანის გონება სარფიანი საქმის გადარჩენისთვის), გამოცხადდა ტურნირის მონაწილეთა შემადგენლობა და ბრძოლაც დაიწყო.

ჩემპიონატის ორგანიზატორებმა შვებით ამოისუნთქეს, როცა ფინალში მონაწილეობის უფლება მიიღო ერთმა ინგლისელმა და ერთმა ჰოლანდიელმა „ფეხბურთელმა". მაგრამ ფეხბურთის ფუძემდებლებს ბოლომდე არც ამჯერად გაუღიმათ ბედმა. ფინალური მატჩი ჰოლანდიელმა მოიგო.

ასე დაიკარგა ინგლისური ფეხბურთის რეაბილიტაციის კიდევ ერთი შანსი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მას იბრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.